



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N2

ქ. ლანჩხუთი

30. 01. 2019 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“-ს თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ თავმჯდომარე ლელა ჩახვაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამემწე გიორგი ხელაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო მიმიგური. საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) ნანა ზუგუაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი ფაცურია, მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი მამუკა ვადაჭკორია, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ია ჩხაიძე, მერიის სივრცითი მოწყობისა და

ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე, მერიის შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის უფროსი გია ნაჭყებია, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრება საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, ამიტომ დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხს წარადგენს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე. ამის შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტის შესწორებული ვარიანტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის აუდიტორული შემოწმების ჩატარების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვ. ნანაძე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემასა და ქონების ქირის წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი მ. ვადაჭკორია/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების - განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ი. ჩხაიძე/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ -კულტურული ღონისძიებების - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ღონისძიებების, სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ი. ჩხაიძე/

8. სხვადასხვა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე 21 საკრებულოს წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს სხდომას შემოუერთდა საკრებულოს წევრი კახაბერ ასკურავა.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გააცნო მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის შემდეგი სოციალური პროგრამები:

- ა) მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა;
- ბ) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა;
- გ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა;
- დ) ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა;
- ე) მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა;
- ვ) ცენტრ „იავნანას“ თანადაფინანსების პროგრამა;
- ზ) ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა;
- თ) იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა;
- ი) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა;
- კ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა;

ლ) ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის;
მ) ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა;
ნ) უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა;
ო) ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა;
პ) მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა;
ჟ) შშმ პირის სატაქსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა.

ა) მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარებას. კერძოდ, ქ ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებული უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღეში ერთჯერადად კვებას უფასო სასადილოში და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში ბენეფიციართათვის კვირაში ორჯერ საკვების მიწოდებას ოჯახში. (2018 წლის მაჩვენებლით სასადილოში იკვებებოდა ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში 60 ბენეფიციარი, ხოლო მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებიდან 38 ბენეფიციარს კვირაში ორჯერ ოჯახში მიტანით მიეწოდებოდა საკვები. სულ პროგრამით ისარგებლა 98 სოციალურად დაუცველმა ბენეფიციარმა) 2019 წელს უფასო სასადილოთი ისარგებლებს არაუმეტეს 105 ბენეფიციარი.

ბ) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამის საფუძველზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახები, რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი, ყოველთვიურად თითოეულ ბავშვზე მიიღებენ 25 ლარს. აღნიშნული პროგრამით ისარგებლებს ის ოჯახები, რომლებიც არ არიან სოციალური შემწეობის მიმღები. 2018 წელს პროგრამით სარგებლობდა 30 ოჯახი (105 ბავშვი).

გ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამის საფუძველზე განხორციელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ხანძარისა და მეწყერისაგან დაზარალებული, ასევე საცხოვრებლად უვარგისი სახლების მქონე ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა. ამავე პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ძალადობის მსხვერპლ ქალთა დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა. 2018 წლის მონაცემებით პროგრამით სარგებლობდა 56 ოჯახი.

დ) ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარებას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარდაცვლილი ომის მონაწილის ოჯახისათვის დახმარების აღმოჩენა, კერძოდ სარიტუალო მომსახურებისას ფინანსური დახმარება 250 (ორასოცდაათი) ლარის ოდენობით. ასევე მე-2 მსოფლიო ომის მონაწილეთათვის ერთჯერადად დახმარების გაწევა 9 მაისთან დაკავშირებით (თითოეულს 300 ლარის ოდენობით) დღეის მდგომარეობით არის 7 ბენეფიციარი). საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული მეომრების ოჯახებისათვის 27 სექტემბერს (სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით 11 ბენეფიციარი) 8 აგვისტოს (აგვისტოს ომთან დაკავშირებით, 3 ვეტერანი) ოსეთის კონფლიქტების დროს დაღუპული (ერთი ვეტერანი) 300 ლარით დახმარება (15 ვეტერანი სულ 4 500 ლარი). საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის შემდგომ გარდაცვლილი ვეტერანების ოჯახების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილე ვეტერანთა, სხვა სახელწიფოთა ტერიტორიაზე

საბრძოლო მოქმედების ვეტერანების შეჭირვებული ოჯახების (60 ბენეფიციარი), რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 130 000-ს და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული მეომრების ოჯახების ყოველთვიურად 50 ლარით დახმარება. პირველი და მეორე ჯგუფის შშმ ვეტერანებისათვის ყოველთვიურად 100 ლარით დახმარება (2 ვეტერანი საქიროებს 2400 ლარს); მე-2 მსოფლიო ომის მონაწილეთათვის ყოველთვიურად 50 ლარით დახმარება (9 ვეტერანი), დედის დღესთან 3 მარტთან დაკავშირებით დაღუპული მეომრების დედების დასაჩუქრება 200 ლარით (15 ვეტერანის დედა 3000 ლარი) ომში დაღუპული მეომრების საპატივცემლოდ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში გამართულ ღონისძიებებთან დაკავშირებით საჩუქრის გადაცემა და წლის განმავლობაში დაგეგმილ ღონისძიებებზე ვეტერანთა საფლავების ყვავილებით შესამკობად თაიგულების და გვირგვინების შექმნა (1 000 ლარი).

ემოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრები მოსწავლეების ტრანსპორტირება სკოლამდე და სკოლიდან, რადგანაც აღნიშნულ ტერიტორიაზე არ ფუნქციონირებს სამგზავრო ტრანსპორტი. ამ მიზნით ბიუჯეტით გამოყოფილია შესაბამისი სახსრები. აღნიშნული პროგრამით სარგებლობს ერთი სკოლა(სასულიერო გიმნაზია. პროგრამით ისარგებლებს □ულ 44 მოსწავლე).

ვ)ცენტრ „იავნანას“ თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები, ცენტრ "იავნანაში" დარეგისტრირებული, სოციალურად დაუცველი 24 ბავშვის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობა. კერძოდ, ქვეყანაში შემუშავდა და მუშაობს სილატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფი ბავშვებისათვის "სოციალური რეაბილიტაციის ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ამ მიზნით დაფუძნებულია არასამთავრობო ორგანიზაცია, სარეაბილიტაციო ცენტრი "იავნანა". პროგრამას ერთი მხრივ აფინანსებს ცენტრალური ბიუჯეტი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ვაუჩერული პრინციპით. ცენტრს დამატებით ესაჭიროება კომუნალური და მიმდინარე ხარჯების დაფინანსება. პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული იქნება ელექტრო-ენერჯის, ბუნებრივი აირის და წყლის გადასახადები, დაფინანსდება ცენტრისათვის ყოველთვიურად ჰიგიენისა და ყოველთვიური მოხმარების საგნების ღირებულება. ცენტრში ირიცხება 24 მზრუნველობამოკლებული ბავშვი.

ზ) ბიკარბონატული ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული თირკმლის უკმარისობით დაავადებულთათვის სატრანსპორტო ხარჯის გამოყოფას პროგრამული დიალიზის ჩასატარებლად კვირაში სამჯერ. 2018 წლის მაჩვენებლით პროგრამით სარგებლობდა 21 ბენეფიციარი.

თ) იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამის ფარგლებში დევნილთა ოჯახებს, რომლებიც რეგისტრირებული არიან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, ერთჯერადად მიეცემათ საშეშე მერქნის შესამქენი თანხა 200 (ორასი) ლარის ოდენობით. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სულ რეგისტრირებულია ასეთი 61 ოჯახი (192 დევნილი).

ი) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამის საფუძველზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ბენეფიციარებს, რომელთაც ესაჭიროება ოპერაციული ჩარევა და სადაზღვევოს მიერ არ უნაზღაურდება, ან მკურნალობის თანხა უნაზღაურდება ნაწილობრივ, სამედიცინო დაწესებულების ანგარიშზე ჩაერიცხება წარმოდგენილი ღირებულების 50%, მაგრამ არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა. ასევე ბენეფიციარებისათვის, რომელთაც ესაჭიროება: გეგმიური და

გადაუდებელი სტაციონალურ-ამბულატორიული მომსახურეობა და ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევები, მათ შორის "ც" ჰეპატიტით დაავადებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების დიაგნოსტიკური კვლევების ჩასატარებლად მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის სადაზღვევო პროგრამით დაუფინანსებელი თანხის თანადაფინანსება განისაზღვროს 50%-ით, მაგრამ არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა, კონსერვატიული მკურნალობა-არაუმეტეს 500 ლარისა. ასევე შეჭირვებული მოქალაქეების გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სადაზღვევო პროგრამით დაუფინანსებელი თანხის თანადაფინანსება 50%-მაგრამ არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა. პროგრამით ისარგებლებენ 0-დან 150 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები. „ც“ ჰეპატიტის კვლევებზე ომის ვეტერანები თავისუფლდებიან სარეიტინგო ქულის წარმოდგენისაგან.

შენიშვნა: ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორცაა სასწრაფო (გადაუდებელი) სამედიცინო ოპერაციების, სასწრაფო (გადაუდებელი) სამედიცინო კვლევების თანადაფინანსება, ასევე არაპროგრამული რეფერალური მომსახურება უნადლო ანგარიშსწორებით (ინვოისით წარმოდგენილი ასანაზღაურებელი თანხა არაუმეტეს 400 ლარისა) - რომელიც არ ჯდება მერის თანადაფინანსების პროგრამაში, მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით შესაძლებელია განხორციელდეს სარეიტინგო ქულის წარმოდგენის გარეშე. ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და საკრებულოს წევრის შუამდგომლობის საფუძველზე. 2018 წლის მაჩვენებლით პროგრამით ისარგებლა 265 ბენეფიციარმა.

კ) მიძიმე საცხოვრებელ პირობებში უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამის ფარგლებში შერჩეულ ბენეფიციარს დახმარება გაეწევა ავარიულ მდგომარეობაში არსებულ და სტიქიით დაზიანებული საცხოვრებელი სახლის მოწესრიგებაში. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური ახორციელებს მონიტორინგს ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელთან ერთად. სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის დასკვნის საფუძველზე დგინდება დაზარალებული მოსახლეობის დახმარების აუცილებლობა, რაც მოწმდება ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი საბუთების მეშვეობით. მერის ბრძანებით შექმნილი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე დადგენილი წესის შესაბამისად განისაზღვრება ბენეფიციარზე ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა.

ლ) ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამის ფარგლებში ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობა ენიჭება ნაადრევ ეტაპზე კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალების მხარდაჭერას მათი შემდგომი რეაბილიტაციის მიზნით. პროგრამა ითვალისწინებს სამედიცინო კვლევებს კლუბის წევრი ქალბატონებისათვის, სარეაბილიტაციო ვარჯიშების ტრენინგს, ფსიქოლოგიურ ტრენინგს, მონაწილეობას სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებში. გასულ წელს პროგრამით ისარგებლა 44 კლუბის წევრმა. სამედიცინო კვლევებით ისარგებლა 20 ბენეფიციარმა; სარეაბილიტაციო ვარჯიშები ჩაიტარა 29 ბენეფიციარმა. ფსიქოლოგის მომსახურეობა ჩაიტარა 29 ბენეფიციარმა. პრესოთერაპიის მურნალობა ჩაიტარა 22 ბენეფიციარმა. კლუბის წევრი ქალბატონები აქტიურად იყვნენ ჩართული 2018 წლის დაგეგმილ კულტურულ ღონისძიებებში (მსოფლიო მართონი "სიცოცხლის გადასაჩენად", ლანჩხუთის დისშესანიშნაობებით შედგა კლუბის წევრი ქალბატონების მონაწილეობით 2019 წლის კალენდარი) პროგრამის მიზანს წარმოადგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალების რეაბილიტაცია და მხარდაჭერა.

მ) ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 და მეტი წლის

ასაკის ხანდაზმულების დახმარება. (დაბადების დღეს ან ხანდაზმულთა დღეს 1 ოქტომბერს)

ნ) უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამის ფარგლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურებაზე დახმარება გაიცემა ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის(საკრებულოს წევრის) შუამდგომლობის და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.

ო) ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მარტოხელა შეჭირვებული მოხუცების, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 65 000 საშეშე მერქნის შესაძენად გაეწევათ ფულადი დახმარება 150 ლარის ოდენობით; ასევე ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა დახმარება; სახემწიფო ზრუნვის პროგრამიდან გასული ახალგაზრდების დახმარება; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა ოჯახში განხორციელდა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება, ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწევა ბავშვების ოჯახებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ლანჩხუთის რაიონული განყოფილების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ახალგაზრდების საჭიროებების გათვალისწინებით.

გადაწყვეტილება ასეთ ოჯახებზე ფინანსური დახმარების გაწევის მიზანშეწონილობის შესახებ მიიღება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი კომისიის მიერ.

პ) მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამის მიხედვით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ბენეფიციარები დახმარებას მიიღებენ წლის განმავლობაში ერთჯერადად მედიკამენტების შესაძენად რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა 65001-დან არ აღემატება 150 000-ს, არაუმეტეს (150 ლარისა) ონკოდაავადებულები მედიკამენტების შესაძენად არაუმეტეს (300 ლარისა), შშმ პირები მედიკამენტების შესაძენად არაუმეტეს 150 ლარისა და მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები მედიკამენტების შესაძენად დახმარება არაუმეტეს 150 ლარისა. (ომის ვეტერანები თავისუფლდებიან სარეიტინგო ქულის წარმოდგენისაგან.) განცხადებები განიხილება კომისიურად ლანჩხუთის მერის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ. თანხა ჩაირიცხება შესაბამის სამედიცინო/სააფთიაქო დაწესებულების საბანკო ანგარიშზე წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

ჟ) შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამის ფარგლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 0-დან 18 წლამდე შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციარები რომლებიც საჭიროებენ სარეაბილიტაციო კურსის გავლას, მუნიციპალიტეტი დააფინანსებს ამ ბენეფიციარების სარეაბილიტაციო კურსს სრულად და ასევე მათი თანმხლები პირის ხარჯებს, სარეაბილიტაციო კურსის გავლის პროგრამით სარგებლობისთვის, მიმართავენ მუნიციპალიტეტს. მოქალაქეთა შერჩევა მოხდება სოციალურ საკითხთა შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის მიერ. დახმარების თანხა დღიური 35 (ოცდათხუთმეტი) ლარის ოდენობით ბენეფიციარზე და 35 ლარის ოდენობით თანმხლებ პირზე ჩაირიცხება შესაბამისი დაწესებულების ანგარიშზე. ბენეფიციართა შერჩევის პროცესში აქტიურადაა ჩართული ა(ა)იპ „პროგრესის ვექტორი“.

საკრებულოს წევრი, **ცისანა ურუშაძე** დაინტერესდა, გათვალისწინებულია თუ არა ყველა ის შენიშვნა, რომელიც საკრებულოს წევრების მიერ გამოთქმულ იქნა საკრებულოს

სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომაზე. მაგალითად, როგორცაა მედიკამენტების შექმნაზე დახმარება ოჯახის ყველა წევრისთვის. ასევე მის მიერ ჩამატებული იქნა ერთი საკითხი, რომელიც შეეხებოდა შშმ ბავშვების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით დახმარებას. ეს ბავშვები სხვადასხვა რეგიონში-აჭარაში, იმერეთში, თბილისსა თუ სხვაგან, გადიან სარეაბილიტაციო კურსებს. საკრებულოს წევრის აზრით, თუკი ხორციელდება ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირება, ასევე შშმ ბავშვების გადაადგილებასთან დაკავშირებით დახმარებაც აუცილებლობას წარმოადგენს. მას ხშირი ურთიერთობა აქვს ასეთი ბავშვების მშობლებთან, რომელთა თქმით, აღნიშნული პრობლემის გამო კურსები უვარდებათ.

მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსის, **თამარ ფირცხალაიშვილის** თქმით, საკითხი მოითხოვს დამატებით შესწავლას. ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა შემთხვევაში ბენეფიციარებს სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირება ესაჭიროებათ კვირაში სამჯერ. აქედან გამომდინარე, ხარჯები ადვილად გასათვლელია. რაც შეეხება შშმ ბავშვებს, კონკრეტულად ცნობილი უნდა იყოს პერიოდულობა-თუ რამდენჯერ ესაჭიროებათ ტრანსპორტირება, ბავშვების რაოდენობა და ასევე, თუ სად გადიან სარეაბილიტაციო კურსებს. ამ მონაცემების დასაზუსტებლად საჭიროა მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის და სოციალური მომსახურების სააგენტოს ურთიერთთანამშრომლობა.

საკრებულოს წევრმა, **ცისანა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ ასეთი არის დაახლოებით 15 ბავშვი, მაგრამ სოციალური მომსახურების სააგენტოში კიდევ რამდენიმე ბავშვის მონაცემებია მიწოდებული, თუმცა გასარკვევია, თუ ვინ იქნება საბოლოოდ ჩასმული სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამაში, რადგან მხოლოდ სიის წარდგენა არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ისარგებლებს ამ პროგრამით, რადგან არსებობს გარკვეული პრობლემები და ხარვეზები, თუნდაც ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობასთან დაკავშირებით და სხვა. გარდა ამისა, საკრებულოს წევრმა აღნიშნა, რომ წლების განმავლობაში დამტკიცებული სოციალური პროგრამები მეორდება და ალბათ, მომავალშიც ასე გაგრძელდება. მისი აზრით, ამ მიმართულებით გარკვეული სიახლეებია შესატანი. თუკი რომელიმე პუნქტიდან გამომდინარე ჩნდება რაღაც ეჭვი, ხომ შეიძლება რაღაც შეიცვალოს ან რაიმეთი ჩაენაცვლოს. რაც შეეხება ბინის ქირავნობის პროგრამას, საკრებულოს წევრი ერთი წლის განმავლობაში ამბობს, რომ საჭიროა ამ კუთხით არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობა. ამ პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხა არ უნდა იყოს წყალში გადაყრილი და გაუკონტროლირებადი, ისე როგორც ერთჯერადი დახმარების, რადგან ვერავინ აკონტროლებს გაცემული თანხის გამოყენების მიზნობრიობას. მუნიციპალიტეტის მერიაში არსებობს შესაბამისი სამსახური, საკრებულოში ფუნქციონირებს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია, რომლებმაც უნდა ნახონ, თუ რა პროგრამებს აფინანსებს არასამთავრობო ორგანიზაციები. მთავარია, მუნიციპალიტეტმა შესთავაზოს ფართი, პროექტი და აღიწეროს მიზანი იმის მიხედვით, თუ რა საჭიროებები გამოიკვეთება და რა იქნება საბოლოო შედეგი. ასევე, გათვალისწინებული უნდა იქნას დაახლოებით იმ ოჯახების რაოდენობა, რომლებიც აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ფინანსდება და ყოველივე ამის საფუძველზე გაკეთდეს დროებითი თავშესაფარი. დეპუტატის თქმით, სრულიად შესაძლებელია ეს სიტუაცია იყოს ადგილობრივად კონტროლირებადი და არა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ. ბენეფიციარებს ჩარიცხავს მუნიციპალიტეტი. ამასთან, არ არის აუცილებელი, რომ კვებით იქნას ეს ადამიანები მიღებული, არამედ

მუნიციპალიტეტი შესთავაზებს ინფრასტრუქტურას. რის შემდეგაც ბენეფიციარის ბიოლოგიურ ოჯახში სიტუაციის მოწესრიგებასთან დაკავშირებით ჩაერთვება ადმინისტრაციული ერთეულის დეპუტატი, სოფლის ხელმძღვანელობა და მოხდება პიროვნების ოჯახში დაბრუნება. საკრებულოს წევრის თქმით, საქმე ეხება დიდ თანხებს, ამიტომ საკითხი ძალიან ყურადსაღებია. მთავარია შესაბამისმა სამსახურებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა პროექტებზე ერთობლივად იმუშაონ.

საკრებულოს თავმჯდომარე, **ბესიკ ტაბიძე** დაეთანხმა საკრებულოს წევრს და აღნიშნა, რომ თუკი ერთი და იგივე სოციალური პროგრამები იქნება, შესაბამისად ისევ და ისევ იმავე პრობლემების წინაშე დადგებიან. მისი თქმით, არის შემთხვევა, როცა გაჭირვებულ მოქალაქეს რაღაც მიზეზების და ბარიერების გამო შესაბამისი დახმარება ვერ გაეწია. მას არა ერთხელ აღუნიშნავს, რომ შესაბამისმა კომისიებმა სათანადოდ უნდა იმუშაონ ამ მიმართლებით, რადგან დეტალურად გაირკვეს, თუ რა არის ხელის შემშლელი მიზეზები და როგორ შეიძლება მისი გამოსწორება.

საკრებულოს სხდომას შემოუერთდა საკრებულოს წევრი **ზურაბ კუკულავა**.

საკრებულოს წევრი, **ელისო ჭიჭინაძე** ასევე დაეთანხმა კოლეგას და აღნიშნა, რომ ერთი და იგივე პროგრამები მტკიცდება წლების განმავლობაში და საბოლოოდ გამოდის, რომ ერთ ადგილს ტკეპნიან. მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ თუკი შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფა არ არსებობს, საკითხი ისე ვერ მოგვარდება. ამის მაგალითად საკრებულოს წევრმა აღნიშნა, რომ მის მიერ დაყენებული იქნა რამდენიმე საკითხი, როგორცაა საპილოტედ თანადაფინანსება საბავშვო ბაღებიდან გარკვეული კილომეტრების დაშორებით მცხოვრები ბავშვების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით. ასევე, ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთათვის თანხის დამატებაზე, რომლის თაობაზეც ყველა ბენეფიციარის ხელმოწერები შემოვიდა და სხვა საკითხები, მაგრამ სათანადო ფინანსური უზრუნველყოფის არ არსებობის გამო ისინი ვერ განხორციელდა.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 22 საკრებულოს წევრი.

**მომხრე 22 საკრებულოს წევრი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N 4 (30.01.2019)**

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გააცნო მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი წესი აწესრიგებს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან „სოციალური დაცვის“ მუხლში გათვალისწინებული სოციალური დახმარებების დანიშვნასთან და გაცემასთან

დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს სოციალური დახმარებების დანიშვნასა და გაცემაზე უფლებამოსილ მუნიციპალიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, ადგენს სოციალური დახმარების სახეებს, მათი დანიშვნისა და გაცემის ძირითად სახელმძღვანელო პრინციპებს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაცემას ექვემდებარება შემდეგი ფულადი სოციალური დახმარებები:

- ა) მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა;
- ბ) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა;
- გ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა;
- დ) ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა;
- ე) მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა;
- ვ) ცენტრ „იავნანას“ თანადაფინანსების პროგრამა;
- ზ) ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა;
- თ) იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა;
- ი) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა;
- კ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა;
- ლ) ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა მუშუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის.
- მ) ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა.
- ნ) უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა.
- ო) ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა.
- პ) მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა.
- ჟ) შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებათა მუნიციპალური პროგრამით გათვალისწინებული სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის ორგანიზებას უზრუნველყოფს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური.

კონკრეტული სოციალური პროგრამიდან დახმარების დასანიშნად ან მისაღებად დაინტერესებულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- ა) მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა – განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი, ცნობა სოციალური სააგენტოდან, რომ არის სოციალურად დაუცველი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე.
- ბ) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა – განცხადება, მშობლების პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი, ბავშვების დაბადების მოწმობების ასლები, მშობლების ქორწინების მოწმობის ასლი, ერთ-ერთი მშობლის საბანკო ანგარიში და სოციალური სააგენტოდან სარეიტინგო ქულის ამონაწერი.
- გ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა - განცხადება, ცნობა, რომ ბენეფიციარს არ აქვს საცხოვრებელი ფართი, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის დასკვნა სახლის მდგომარეობის შესახებ, განმცხადებლის და საცხოვრებელი ფართის

მეპატრონის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, განმცხადებლის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი, ფართის მეპატრონის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ბენეფიციარსა და საცხოვრებელი ფართის მეპატრონეს შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულება და საცხოვრებელი ფართის მეპატრონის ბანკის ანგარიში.

დ) ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა- განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი, ცნობა სოციალური სააგენტოდან სარეიტინგო ქულის შესახებ, ვეტერანობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, გარდაცვალების მოწმობის ასლი, საბანკო ანგარიში.

ე) მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა-მუნიციპალიტეტის მერსა და ა(ა)იპ ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის პრორექტორს შორის გაფორმებული შეთანხმების აქტი; პრორექტორის მიერ თანხის ყოველთვიური მოთხოვნა.

ვ) ცენტრ „იავნანას“ თანადაფინანსების პროგრამა - კომუნალური ხარჯების, ჰიგიენისა და ყოველდღიური მოხმარების საგნების თანხის კალკულაციის წარმოდგენა;

ზ) ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა - განცხადება, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა N100, ბენეფიციარის ან ოჯახის წევრის საბანკო ანგარიში და პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ბენეფიციარის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი.

თ) იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა-განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, დევნილის მოწმობის ასლი და საბანკო ანგარიში.

ი) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა - ბენეფიციარმა ან მისმა ოჯახის წევრმა მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს: განცხადება; სამკურნალო დაწესებულების ანგარიშ-ფაქტურა და კალკულაცია; განმცხადებლის (პაციენტის) პირადობის მოწმობის ასლი (სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი); ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულის შესახებ(პროგრამით ისარგებლებენ 0-დან 150000 სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები); ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა 100, დედანი); ცნობა დაზღვევის ფარგლებში დაფინანსების ოდენობის ან დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ; ანაზღაურება მოხდება უნაღლო ანგარიშსწორების ფორმით, სამედიცინო დაწესებულების შესაბამის ანგარიშზე, გაწეული სამედიცინო მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ.

შენიშვნა: ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორცაა სასწრაფო (გადაუდებელი) სამედიცინო ოპერაციების, სასწრაფო (გადაუდებელი) სამედიცინო კვლევების თანადაფინანსება, ასევე არაპროგრამული რეფერალური მომსახურება უნაღლო ანგარიშსწორებით (ინვოისით წარმოდგენილი ასანაზღაურებელი თანხა არაუმეტეს 400 ლარისა) - რომელიც არ ჯდება მერიის თანადაფინანსების პროგრამაში, მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით შესაძლებელია განხორციელდეს სარეიტინგო ქულის წარმოდგენის გარეშე. ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და საკრებულოს წევრის შუამდგომლობის საფუძველზე.

კ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დახმარების პროგრამა -განცხადება, ბენეფიციარის ან ოჯახის წევრის საბანკო ანგარიში, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი (სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის დასკვნა სახლის მდგომარეობის შესახებ, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი

დეპუტატის (საკრებულოს წევრის) შუამდგომლობა; „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ ოჯახისათვის მინიჭებული სარეიტინგო ქულის ამონაწერი; სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა (ასლი) ან ცნობა; ბენეფიციარის საბანკო ანგარიში. გადაწყვეტილება მიიღება მერის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ.

ლ) ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის- ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ პროგრამებზე გახარჯული თანხის კალკულაციის წარმოდგენა და საბანკო ანგარიში.

მ) ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა-განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი(სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ბენეფიციარის საბანკო ანგარიში.

ნ) უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა-განცხადება, მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის(საკრებულოს წევრის) შუამდგომლობა; გარდაცვალების მოწმობის ასლი, საბანკო ანგარიში.

ო) ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა- განცხადება, განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი(სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ბენეფიციარის საბანკო ანგარიში, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის(საკრებულოს წევრის) შუამდგომლობა; სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა ან დასკვნა. მარტოხელა მშობლის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი. გადაწყვეტილება მიიღება მერის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ.

პ) მედიკამენტების შექმნაზე დახმარების პროგრამა-განცხადება, განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი(სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან (ფორმა № IV-100/ა); სამედიცინო დაწესებულების/ავთიაქის მიერ სამედიცინო მომსახურების შესახებ გაცემული ანგარიშ-ფაქტურა; ცნობა სარეიტინგო ქულის შესახებ. (ომის ვეტრანები თავისუფლდებიან სარეიტინგო ქულის წარმოდგენისაგან) თანხა ჩაირიცხება შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების/ავთიაქის საბანკო ანგარიშზე, წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად. მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე. პროგრამით ისარგებლებენ ის ოჯახები რომელთა სარეიტინგო ქულა 65001-დან არ აღემატება 150000-ს. ოჯახის მეორე, მესამე და მომდევნო წევრებზე დახმარების შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიიღება მერის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ. გადაწყვეტილება კომისიის გარეშე მიიღება ონკოდაავადებულების და ლეიკემიით დაავადებულების მედიკამენტებით დახმარებაზე ასევე ქრონიკული დაავადებების მქონე ბენეფიციარებზე და იმ ბენეფიციარებზე რომლებსაც ოპერაციის შემდგომი მკურნალობისათვის ესაჭიროებათ მედიკამენტოზური მკურნალობა.

ჟ) შშმ პირის სატატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა-განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი(სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან (ფორმა № IV-100/ა) სამკურნალო დაწესებულების ანგარიშ-ფაქტურა. თანხა ჩაირიცხება შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების საბანკო ანგარიშზე, წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად. მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულ განცხადებებს განიხილავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური და საკითხის

დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში სამსახურის მომზადებული ბრძანების პროექტის საფუძველზე მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) გაიცემა სოციალური დახმარებები.

საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ თავმჯდომარე **ლელა ჩახვაძე** დაინტერესდა, თანადაფინანსება მხოლოდ სოციალურად დაუცველ მოქალაქეებზე განხორციელდება თუ ყველა კატეგორიაზე და რამ გამოიწვია მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამაში ცვლილება, რომელიც შეეხება მედიკამენტების კომისიური წესით გაცემას. საკრებულოს წევრმა კითხვით მიმართა მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსს- ეს კომისია უფრო კომპეტენტურია, ვიდრე ექიმის მიერ ბენეფიციარზე გაცემული ფორმა N100?

მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსის, **თამარ ფირცხალაიშვილის** განმარტებით 0-დან 150000 სარეიტინგო ქულამდე ვისაც აქვს, მათ დახმარება გაეწევათ სამკურნალო-საოპერაციო ხარჯების თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში. ამასთან, ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა მოქალაქეს ესაჭიროება გადაუდებელი სამედიცინო ოპერაციები და კვლევების ჩატარება, თანადაფინანსება არაუმეტეს 400 ლარისა შესაძლებელია განხორციელდეს სარეიტინგო ქულის წარმოდგენის გარეშეც ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და საკრებულოს წევრის შუამდგომლობის საფუძველზე. რაც შეეხება მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამას, □□□□ ისარგებლებენ ის ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა 65001-დან არ აღემატება 150000-ს. აღნიშნული ცვლილება კომისიური წესით მედიკამენტების გაცემასთან დაკავშირებით შეეხება ოჯახის მეორე, მესამე და მომდევნო წევრებს, როცა მათთვის დახმარების შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება მერის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ, მაგრამ კომისიის გარეშე გადაწყვეტილება მიიღება ონკოდაავადებულების და ლეიკემიით დაავადებულების მედიკამენტებით დახმარებაზე, ასევე ქრონიკული დაავადებების მქონე ბენეფიციარებზე და იმ ბენეფიციარებზე, რომლებსაც ოპერაციის შემდგომი მკურნალობისათვის ესაჭიროებათ მედიკამენტოზური მკურნალობა.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე, **ზაზა წულაძე** მიიჩნევს, რომ ოჯახის წევრებთან დაკავშირებით ასეთი გადაწყვეტილება არ უნდა მიიღებოდეს. გამოდის, თუ ადამიანს მეუღლე ჰყავს ავად, მას დახმარება არ ეკუთვნის. მაგალითად, აქ საუბარია იმ მოქალაქეებზე, რომელთაც წნევა აწუხებთ და წელიწადში, 365 დღე წნევის წამალს საჭიროებენ. მისი აზრით, არ შეიძლება საკითხისადმი ასეთი იოლი მიდგომა.

საკრებულოს წევრმა, **ცისანა ურუშაძემ** ასევე უკმაყოფილება გამოთქვა. მისი თქმით, როცა ოჯახის ექიმი თვლის, რომ ადამიანს ესაჭიროება ესა თუ ის მედიკამენტი, რატომ არ უნდა იყოს ამ გადაწყვეტილების მიმართ ნდობა.

მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსის, **თამარ ფირცხალაიშვილის** თქმით, ექიმის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეჭვის ქვეშ არ დგება და არავის აქვს უფლება ამას არ ენდოს. მისი განმარტებით, მოქალაქეს შეიძლება წლის განმავლობაში ეტაპობრივად გაეწიოს დახმარება. თუ ადამიანი ერთხელ გაიტანს მაგალითად, 100 ლარის მედიკამენტს, მას შეუძლია წლის განმავლობაში ისევ მიმართოს დახმარებისთვის დარჩენილი თანხის ფარგლებში. იყო შემთხვევა, როცა ოჯახის ექვსმა წევრმა შემოიტანა

დახმარებზე თხოვნა, რამაც საერთო ჯამში შეადგინა საკმაოდ დიდი თანხა, მაგრამ როგორც ცნობილია, პროგრამა გაწერილია 150 ლარზე. ასევე დაფიქსირდა ფაქტი, რომ ბენეფიციარს ესაჭიროებოდა ოპერაციის შემდგომი მედიკამენტოზური მკურნალობა. შემოიტანა თხოვნა 150 ლარის მედიკამენტებზე. შესაბამისად, მას ჩაერიცხა თანხა, მაგრამ შემდეგ რომელიმე წამლის მიღება შეუწყდა და შეეცვალა დანიშნულება. სწორედ ასეთი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნითაა ეს გადაწყვეტილება განპირობებული, რომ ხელოვნურად არ მოხდეს ზრდა და მოქალაქეს პროგრამის ფარგლებში გაეწიოს დახმარება იმ მომენტში სწორედ იმ მედიკამენტებით და იმ რაოდენობით, რაც ესაჭიროება.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარის, **ზაზა წულაძის** აზრით, უპრიანი იქნება მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მიერ უბნის ექიმებთან ერთად მოხდეს საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა. გარდა ამისა, მისთვის გაურკვეველია ის, რომ თუნდაც კომისიამ დააკმაყოფილოს ყველა ბენეფიციარის თხოვნა, ამის გამო რატომ უნდა შეექმნათ მოქალაქეებს ბარიერი და გაჭიანურდეს დროში მათთვის მედიკამენტების გაცემა.

საკრებულოს წევრის, **ცისანა ურუშაძის** თქმით, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომაზე იმსჯელეს, რომ უბნის ექიმების მიერ არ უნდა მოხდეს ერთჯერადად 150 ლარის მედიკამენტების გამოწერა, არამედ მოთხოვნა უნდა გაკეთდეს იმ მომენტისთვის საჭირო წამლებზე. ასევე შეთანხმდნენ, რომ შეხვდებოდნენ უბნის ექიმებს და გააცნობდნენ თავიანთ მოსაზრებებს. მისი აზრით, მუნიციპალიტეტის მერი უნდა ესწრებოდეს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომას და საკითხთან დაკავშირებით მათთან ერთად მსჯელობდეს. საკრებულოს წევრს არ მიაჩნია მართებულად, რომ პაციენტი ელოდებოდეს კომისიას. მით უმეტეს, რომ უცნობია, მიიღებს თუ არა კომისია მოქალაქის სასარგებლოდ გადაწყვეტილებას. საკრებულოს წევრის განცხადებით პირადად ასეთ პროგრამას მხარს არ დაუჭერს.

საკრებულოს წევრი, **ელისო ჭიჭინაძე** დაინტერესდა, აქვს თუ არა მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურს მონაცემები ისეთი ოჯახების რაოდენობის შესახებ, რომელთა ხუთი და ექვსი წევრი დაფინანსდა, ანუ ზოგადად, რამდენით დაზარალდა ადგილობრივი ბიუჯეტი, თუ სამსახურმა მონაცემები იმის მიხედვით შეადარა, სამომავლოდ რა ზარალი შეიძლება მიადგეს ბიუჯეტს, როცა კომისიური წესით მოხდება გადაწყვეტილების მიღება.

მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა** აღნიშნა, რომ არ უნდა შეიქმნას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ვინმეს ეუბნებიან უარს. საკრებულოს წევრების ინიციატივიდან გამომდინარე, უახლოეს პერიოდში მუნიციპალიტეტის მერთან ერთად შეხვდებიან უბნის ექიმებს, მოხდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა და ერთობლივი მსჯელობა, რათა აღნიშნულ პროგრამებთან დაკავშირებით მოქალაქეებს არ შეექმნათ რაიმე პრობლემა და არც ერთი მხრიდან ადგილი არ ქონდეს გაურკვეველობას.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის, **ვერიკო კვიციანიას** აზრით, შეიძლება კომისიური წესით მედიკამენტების გაცემა ამოღებული იქნას პროექტიდან, რაც პრობლემას არ წარმოადგენს და ისე დაუჭირონ დოკუმენტის მიღებას მხარი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** შესთავაზა კოლეგებს ამოიღონ პროექტიდან კომისიური წესით მედიკამენტების გაცემა და საკითხის შესწორებულ ვარიანტს უყარონ კენჭი, რაზეც საკრებულოს წევრებმა თანხმობა განაცხადეს.

ამის შემდეგ, საკრებულოს წევრი, **ცისანა ურუშაძე** შეეხო მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამას, რომლის ფარგლებში ხორციელდება სოფლებში მცხოვრები იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის მოსწავლეების ტრანსპორტირება, რისთვისაც ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებულია 7600 ლარი. ამასთან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ მეუფის რეზიდენციაში ირიცხება გარკვეული რაოდენობის თანხა. საკრებულოს წევრის განცხადებით, მას არანაირი პრეტენზია ამ სკოლასთან არ გააჩნია. პირიქით, ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს და დიდ პატივს ცემს, მაგრამ მიუხედავად ამისა აინტერესებს, მაშინ როცა მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 24 საჯარო სკოლა, ხოლო იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზია არის კერძო და ექვემდებარება მეუფის რეზიდენციას, ხომ შეიძლება ადგილობრივი ბიუჯეტიდან ეპარქიისთვის გადარიცხული 50000 ლარიდან გამოეყოს ამ სკოლას მოსწავლეების ტრანსპორტირებისთვის საჭირო 7600 ლარი. არ არის გამორიცხული, რომ ამ თანხიდან გარკვეული რაოდენობა კიდევაც ხმარდებოდეს გიმნაზიას, მაგრამ საკრებულოს წევრის აზრით, მათთვის ცნობილი უნდა იყოს ამის შესახებ და ასევე, რაში იხარჯება ეს თანხა.

საკრებულოს წევრმა, **კახაბერ ასკურავამ** განმარტა, რომ იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიისგან განსხვავებით, საჯარო სკოლებს აფინანსებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. თავის დროზე მუნიციპალიტეტმა და აღმასრულებელმა ხელმძღვანელობამ თავის თავზე აიღო იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიისთვის თანხის გამოყოფა ანუ იგივე სუბსიდირება, რასაც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ახორციელებს საჯარო სკოლებისთვის. მუნიციპალიტეტის მხრიდან დაფინანსების შეწყვეტა ნიშნავს ამ სკოლის არსებობისთვის პრობლემის შექმნას. რაც შეეხება ინფორმაციას თანხების განკარგვის გამჭვირვალობის შესახებ, საკრებულოს ნებისმიერ წევრს აბსოლუტური უფლება აქვს ამასთან დაკავშირებით ქონდეს საკუთარი დამოკიდებულება და ფლობდეს სრულ მონაცემებს, თუ რაში იხარჯება ბიუჯეტის ფული.

მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა, **გიორგი ფაცურიამ** აღნიშნა, რომ თანხის გახარჯვასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება ნამდვილად არ წარმოადგენს პრობლემას და ნებისმიერ დროს შეიძლება მისი მიღება.

საკრებულოს წევრი, **ამირან გიგინეიშვილი** მიიჩნევს, რომ იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიისთვის დაფინანსების შეწყვეტა გაუმართლებელია. მერე რა, რომ კერძო სკოლაა. ამ შემთხვევაში, მხოლოდ ეს ერთი სკოლა დარჩება მოსწავლეების ტრანსპორტირების გარეშე, მაშინ როცა 24 საჯარო სკოლა, რომელთაც თანხას ურიცხავს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ახორციელებს ბავშვების გადაყვანას სკოლებში.

საკრებულოს წევრმა, **ცისანა ურუშაძემ** კიდევ ერთხელ განმარტა, მისი მხრიდან საუბარი არ არის იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიისთვის დაფინანსების შეწყვეტის შესახებ, არამედ მას აინტერესებს ინფორმაცია თანხის ხარჯვასთან დაკავშირებით, თუ რას ხმარდება იგი.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ აქვს ურთიერთობა სასულიერო პირებთან და მათგან იცის, რომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი 50000 ლარი ხმარდება მუნიციპალიტეტის ეკლესია-მონასტრებს.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარის ამ განცხადებას არ დაეთანხმა საკრებულოს წევრი **ელისო ჭიჭინაძე** და აღნიშნა, რომ ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში შენდება ეკლესია და რამდენი ხანია ითხოვს ფინანსურ დახმარებას, მაგრამ ლარი არ მიუღიათ მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი თანხიდან. აქედან გამომდინარე, მასაც აინტერესებს, თუ რას ხმარდება და სად მიდის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ეპარქიისთვის გამოყოფილი 50000 ლარი.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** კენჭი უყარა დადგენილების პროექტს საკითხის მიმართ გამოთქმული შენიშვნის გათვალისწინებით, რომელიც გულისხმობს კომისიური წესით მედიკამენტების გაცემის ამოღებას.

კენჭისყრას ესწრებოდა 22 საკრებულოს წევრი.

**მომხრე 22 საკრებულოს წევრი., წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა დადგენილება N1 (30.01.2019)**

დღის წესრიგის მესამე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანიამ**. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილება არის რედაქციული ხასიათის.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 22 საკრებულოს წევრი.

**მომხრე 22 საკრებულოს წევრი, წინააღმდეგი არცერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N5 (30.01.2019)**

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის აუდიტორული შემოწმების ჩატარების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, **ვლადიმერ ნანაძემ**. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით არაუმეტეს წელიწადში ერთხელ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოწვეულმა აუდიტორმა შეიძლება ჩაატაროს მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის დამოუკიდებელი აუდიტი მუნიციპალიტეტის მერის მიერ განხორციელებული საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის, ბიუჯეტის შესრულების კანონიერების, მიზანშეწონილობის და ეფექტურობის მიზნით.

საკრებულოს წევრი, **კახაბერ ასკურავა** დაინტერესდა, ქონდა თუ არა ადგილი რაიმე სახის რეაგირებას პროკურატურის მხრიდან 2016-2017 წლებში ჩატარებული აუდიტორული შემოწმებების დასკვნიდან გამომდინარე, რადგან მათ საფუძველზე გარკვეულ წილად იკვეთებოდა დანაშაულებრივი ქმედებები და თუკი სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან იყო რაიმე ღონისძიება გატარებული, მაშინ მუნიციპალიტეტის საკრებულომ და აღმასრულებელმა ორგანომ მოიძია თუა არა ამასთან დაკავშირებით რაიმე ინფორმაცია.

მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსის, **გია ნაჭყებიას** განმარტებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მუნიციპალიტეტს მომართა რამდენიმე რეკომენდაციით. მათ შორის ერთ-ერთი შეეხებოდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს, კერძოდ საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი და პრაქტიკა მოყვანილ უნდა იქნას მოქმედ კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში. ასევე გარკვეული შენიშვნები იყო მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილებასა და შესყიდვების შესახებ. მუნიციპალიტეტმა მნიშვნელოვნად შეამცირა ავტოპარკი-2018 წელს აუქციონის წესით გაიყიდა 6 ავტომანქანა. დღეის მდგომარეობით ავტოპარკში ირიცხება ორი, ნაცვლად რეკომენდირებული ექვსი ავტომანქანისა. ერთ-ერთი რეკომენდაცია შეეხებოდა მუნიციპალიტეტში აფიდავიტის დარღვევის შესაძლო რისკებს, როცა ტენდერში მონაწილე პრეტენდენტები სავარაუდოდ არღვევდნენ აფიდავიტის მოთხოვნებს. მუნიციპალიტეტმა იმსჯელა ამის შესახებ და შესაბამისად, ამ კუთხითაც გატარებული იქნა გარკვეული ღონისძიება.

მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსმა ასევე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 23 აპრილის N233 ბრძანებით „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი სამუშაოების (ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია) შესყიდვების ფარგლებში ექსპლოატაციისას გამოვლენილი ხარვეზების დადგენის მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევალა პერიოდულად, მაგრამ არა უგვიანეს კვარტალში ერთხელ სათანადო ანგარიშის წარმოდგენა.

მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსის განმარტებით, მისთვის უცნობია გადასცა თუ არა სახელმწიფო აუდიტმა დარღვევების შესახებ რაიმე სახის ინფორმაცია პროკურატურას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 22 საკრებულოს წევრი.

მომხრე 22 საკრებულოს წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N 6 (30.01.2019)

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემასა და ქონების ქირის წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **მამუკა ვადაჭკორიამ**. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მომართა სს „სილქენტი“-ს საოპერაციო მიმართულების დირექტორმა ქალბატონმა ნათია კავთიაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩაზე განლაგებული 28 (ოცდარვა) ცალი გარე განათების ბოძზე არსებული წერტილოვანი მდებარეობა) ესაჭიროებათ საკომუნიკაციო ქსელის მოსაწყობად და ითხოვა მისი სარგებლობის უფლებით გადაცემა პირდაპირი განკარგვის წესით. „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის NN669 დადგენილების მე-2 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქირის წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვრება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს თანხმობით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქირის წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს 56 ლარის ოდენობით (თითოეულ გარე განათების ბოძზე წერტილოვანი მდებარეობით სარგებლობისათვის წლიური 2.0 ლარის ოდენობით).

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 22 საკრებულოს წევრი.

მომხრე 22 საკრებულოს წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N 7 (30.01.2019)

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე: „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების - განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, **ია ჩხაიძემ**. მისი თქმით, პირადად ესწრებოდა საკრებულოს კომისიებსა და ფრაქციებში პროექტის განხილვას, რომელიც ძალიან აქტიურად მიმდინარეობდა. მან საკრებულოს წევრებს მადლობა გადაუხადა სამუშაო პროცესში ასეთი ჩართულობისთვის. აბსოლიტურად ყველა შენიშვნა, რომელიც მსჯელობის დროს აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში გამოითქვა, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ გაზიარებული იქნა. გარდა ამისა, მთავრობისგან მოვიდა საკონსულტაციო დასკვნა, რომელიც ძალიან მცირე შენიშვნების სახითაა წარმოდგენილი და ძირითადად შეეხება პროგრამებსა და ქვეპროგრამებს შორის ნიუანსურ სხვაობებს. წარმოდგენილ პროექტში ისინიც გათვალისწინებული და გასწორებულ იქნა. მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ განსახილველად წარმოდგენილი პროექტი მოიცავს 4 ძირითად პროგრამას და 15 ქვეპროგრამას. ესენია:

1. განათლების ხელშეწყობის პროგრამა;

- ა) ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსების ქვეპროგრამა.
- ბ) განათლების სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანების წახალისების ქვეპროგრამა.
- გ) ტრანსპორტირების ქვეპროგრამა.

2. კულტურის ღონისძიებების პროგრამა;

- ა) კულტურული ღონისძიებების ორგანიზების ქვეპროგრამა.
- ბ) კულტურისა და ხელოვნების სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანებისა და შემოქმედებითი კოლექტივების წახალისების ქვეპროგრამა.
- გ) ტრანსპორტირებით დახმარების ქვეპროგრამა.
- დ) კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შენარჩუნების ქვეპროგრამა.
- ე) კულტურული პროექტების თანადაფინანსების ქვეპროგრამა.

3. სპორტული ღონისძიებების პროგრამა;

- ა) საჩუქრების და პრიზების შეძენის ქვეპროგრამა.
- ბ) წარმატებული სპორტსმენისა და მწვრთნელის, ღვაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენების წახალისების ქვეპროგრამა.
- გ) ახალგაზრდული სპორტული ტურნირების მხარდაჭერის ქვეპროგრამა.
- დ) სასკოლო სპორტული ოლიმპიადის და სპორტი ბარიერების გარეშე ჩატარების ქვეპროგრამა.
- ე) ტრანსპორტირებით მხარდაჭერის ქვეპროგრამა.

4. ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამა;

- ა) ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსების ქვეპროგრამა.
- ბ) შ.შ.მ. ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამა.

საკრებულოს წევრმა, **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ 2019 წელში გადაწყდება თუ არა ქალაქში არსებული სტადიონების კეთილმოწყობის პრობლემა, რადგან ისინი იმყოფება სავალალო მდგომარეობაში.

მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი, **ია ჩხაიძე** დაეთანხმა საკრებულოს წევრს და აღნიშნა, რომ ეს პრობლემა ჯერ კიდევ წინა მოწვევის საკრებულოდან გრძელდება და ძალიან მნიშვნელოვანი თემაა. როგორც მისთვის არის ცნობილი, დაპროექტება უკვე დასრულებულია და სავარაუდოდ ეს საკითხი მოგვარდება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 22 საკრებულოს წევრი.

მომხრე 22 საკრებულოს წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N 8 (30.01.2019)

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ -კულტურული ღონისძიებების - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ღონისძიებების, სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, **ია ჩხაიძემ**. მან აღნიშნა, რომ საკრებულოს კომისიებსა და ფრაქციებში პროექტის განხილვისას საკრებულოს წევრების მიერ წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა უმნიშვნელო შენიშვნები, რომლებიც ასევე სრულად იქნა გაზიარებული, რის შედეგადაც მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური შეჯერდა პროექტის საბოლოო ვარიანტზე. წარმოდგენილ პროექტში დეტალურად არის ჩამოყალიბებული სოციალურ -კულტურული ღონისძიებების - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ღონისძიებების, სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესი, რათა აბსოლიტურად გამჭვირვალედ, სამართლიანად და ობიექტურად იყოს გაცემული ყველა ფულადი ჯილდო, წახალისება თუ ფასიანი საჩუქარი. ასევე გათვლილი და გაწერილია, თუ რატომ უნდა მოხდეს ამ თანხის გაცემა და ვინ არის კონკრეტული სამიზნე.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 22 საკრებულოს წევრი.

მომხრე 22 საკრებულოს წევრი, წინააღმდეგი არცერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N 2 (30.01.2019)

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს წევრმა, **აკაკი იმნაიშვილმა** აღნიშნა, რომ გაზეთ „ლანჩუთი PLUS“-ის გასულ ნომერში გამოქვეყნდა წერილი სათაურით „პატარა ქალაქის დიდი სატკივარი“, რომელშიც ბევრი პრობლემატური საკითხის შესახებაა საუბარი. მათ შორის ალბათ ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ თემას მისთვის, როგორც მოქალაქისა და მეწარმისთვის, წარმოადგენს ქალაქის ცენტრში კორპუსების მიმდებარედ შექმნილი აუტანელი მდგომარეობა. ამ კორპუსებში განთავსებულია მაღაზიები, რომელთაგან ერთ-ერთი მართალია მას ეკუთვნის, მაგრამ ფართში იხდის ქირას. საკრებულოს წევრის თქმით, მყიდველებს აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული სიტუაციის გამო უძნელდებათ და ეზარებათ მაღაზიებში შესვლა, რადგან იქ აღარ გაივლება. მთელი დღის განმავლობაში დგანან ტრაილერები და დიდი სატვირთო მანქანები. მათ მიერ ჩახერგილია გზა, რის გამოც მომხმარებელს ეზღუდება საკუთარი ავტომანქანით გადაადგილება. ამასთან, მძიმეწონიანი მანქანები აზიანებენ ასფალტის საფარს. ასევე, ცალკე თემას წარმოადგენს მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული ტაქსების გაჩერება. საკრებულოს წევრმა აღნიშნული პრობლემის შესახებ რამდენჯერმე მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, თუნდაც ის, რომ მიმდებარედ გაკეთებულიყო შესაბამისი საგზაო ნიშანი. საკითხი აუცილებლად დასარეგულირებელი და ყურადღება მისაქცევია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ უნდა დაიდგეს საგზაო ნიშანი, რის შემდეგაც წერილით მიმართავენ შესაბამის სამსახურს, რომელიც მიხედავს და დაარეგულირებს სიტუაციას.

საკრებულოს წევრმა, **ამირან გიგინეიშვილმა** აღნიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლში წერია, რომ თვითმმართველობის ექსკლუზიური უფლებამოსილებაა ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მართვა და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზება; ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილებით უზრუნველყოფა და დგომის/გაჩერების წესების რეგულირება. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის საკრებულომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, თუ როგორ მოხდეს აღნიშნულ ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებების გაჩერება. ასევე, აღმასრულებელ ორგანოს უნდა დაევალოს კომისიის შექმნა, რის შემდეგაც მომზადდება შესაბამისი განკარგულების პროექტი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი, რა და როგორ უნდა დარეგულირდეს.

მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი **გიორგი ფაცურია** მიემხრო საკრებულოს წევრის მიერ შეთავაზებულ წინადადებას. მისი თქმით, გარე ვაჭრობასთან დაკავშირებით ადგილობრივ პრესაში დაიწერა ისიც, რომ აღნიშნული ტერიტორია

გარკვეულ წილად გაკეთდა და მოწესრიგდა. ასევე გამოყოფილი იქნა თანხა და მოიძებნა ალტერნატიული ფართი. მერიის ზედამხედველობის სამსახური ყოველდღიურად აკონტროლებს ამ ტერიტორიას და იქ არ უნდა იდგეს გარე მოვაჭრეების ავტომანქანები, რადგან მათთვის საცურაო აუზის მიმდებარედ კეთილმოეწყო შესაბამისი ადგილი. მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ეთანხმება საკრებულოს წევრს და დაინტერესებულია, რათა მომზადდეს ეს საკითხი, რის შემდეგაც მერიის ზედამხედველობის სამსახურს დაევალება მისი მოგვარება.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანიამ** გარე მოვაჭრეებისთვის საცურაო აუზის მიმდებარედ ალტერნატიული ფართის გამოყოფასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უკმაყოფილოა ასეთი გადაწყვეტილების მიღებით. საკითხისადმი ეს დამოკიდებულება საკრებულოს ბიუროს სხდომაზეც დააფიქსირა, რაც განპირობებულია იმით, რომ გადაწყვეტილება აღმასრულებელი ორგანოს მიერ მიღებულ იქნა საკრებულოსთან შეთანხმების გარეშე და საკრებულოს არც ერთი წევრისთვის ამის შესახებ ცნობილი არ იყო. გარდა ამისა, პირადად არ ეთანხმება და არ მოწონს ის, რომ ფართი გამოიყო საცურაო აუზის მიმდებარედ, რადგან ფაქტიურად, გარე მოვაჭრეები სამი მეტრის დაშორებით განთავსდნენ. მისი აზრით, აღნიშნული ტერიტორია ისედაც მოსაწესრიგებელი იყო, რადგან ეს ადგილი ერთმანეთს აკავშირებს ცენტრალურ გზას ქვედა ქუჩასთან. იქ გადასვლით კი გარე მოვაჭრეები ამ დამაკავშირებელ მონაკვეთს ჩაკეტავენ. ყოველივე ამის გათვალისწინებით, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ გამოყოფილი ტერიტორია შეუფერებელია და კატეგორიულად არ ეთანხმება ამ გადაწყვეტილებას. გარდა ამისა, დეპუტატი მიიჩნევს, რომ აუცილებლად დასარეგულირებელი და მოსაწესრიგებელია როგორც ტაქსების საკითხი, ასევე ავტომობილების პარკინგი. საკრებულოს წევრმა აღნიშნა, რომ ის მძღოლები, რომლებიც დასაქმებულები არიან ავტობანის მშენებლობაზე, მძიმეწონიან სატვირთო მანქანებს აჩერებენ თავიანთი საცხოვრებელი სახლების მიმდებარედ ქუჩაში. ასეთი სიტუაცია კვირკველიას, თავისუფლების და ბევრ სხვა ქუჩაზე, რის შედეგადაც ფერხდება და ხელი ეშლება გადაადგილებას. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის აზრით, წერილობით უნდა მიმართონ კომპანიებს, რათა მათ მიერ გამოიყოს შესაბამისი ტერიტორია, სადაც მძღოლები დააყენებენ მძიმეწონიან ავტომანქანებს.

საკრებულოს წევრმა, **აკაკი იმნაიშვილმა** აღნიშნა, რომ როგორც მისთვის ცნობილია, ქალაქში იცვლება გარე განათება. მისი წინასწარი თხოვნაა, რომ შეცვლილი გარე განათება გაკეთდეს სოფელ შუხუთის ეკლესიის მიმდებარედ, რადგან არის ძალიან ინტენსიური მოძრაობა და გარე განათება აუცილებელია.

მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის, **ლევან ჩხაიძის** განმარტებით, ჯერ-ჯერობით მზადდება პროექტი. მან მიმართა საკრებულოს წევრს, რომ ამის შესახებ შეიძლება მიმართოს რეგიონალური განვითარების ფონდს, რომელიც ამ საკითხს ჩასვამს ერთ-ერთ პროგრამაში, რის შემდეგაც აღნიშნულ ტერიტორიაზე დამონტაჟდება გარე განათება.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი გვარჯალაძემ** აღნიშნა, რომ იმ კორპუსზე, რომელზეც საუბრობდა საკრებულოს წევრი აკაკი იმნაიშვილი, გაკრული თუნუქის ფურცლები სანახევროდ ჩამოყრილია. ქარიან ამინდში ისინი ცვივა და იყო შემთხვევა, რომ დაეცა ავტომობილს. აუცილებლად ყურადსაღებია ეს სიტუაცია. უნდა მოხდეს თუნუქის

ფურცლების დემონტაჟი ან სხვა შესაბამისი ღონისძიება გასატარებელი, სანამ რაიმე კატასტროფა არ მომხდარა.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარემ, **ზაზა წულაძემ** აღნიშნა, რომ შპს „მაგთიკომი“-ს მიერ არ მოხდა პროექტის დასრულება, რის გამოც საშინელი მდგომარეობა შექმნილი. კერძოდ, კაბელების დამონტაჟების შემდეგ ზემოდან უნდა მოეყარათ შებენის ფრაქცია, მაგრამ საქმე შუა გზაზე მიატოვეს, არ მოხრეშეს, რის შედეგადაც გაჩენილია ნაპრალები, რამაც გამოიწვია მოსახლეობის უკმაყოფილება და კომპანიის მიმართ აქვთ სამართლიანი პრეტენზიები. საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარემ თხოვნით მიმართა მერიის ზედამხედველობის სამსახურს, რათა კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად ყურადღება მიექცეს აღნიშნულ საკითხს და დროულად გატარდეს სათანადო ღონისძიებები პრობლემის მოსაგვარებლად.

საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ თავმჯდომარემ, **ლელა ჩახვაძემ** მიმართა აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომ მათთვის ფრაქციის მიერ ექვსი წერილი იქნა გაგზავნილი სხვადასხვა ინფორმაციის მიწოდების თაობაზე, საკრებულოს თავმჯდომარის სახელითაც მიმართეს მუნიციპალიტეტის მერიას, მაგრამ დღემდე პასუხი არ მიუღიათ.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** ასევე აღნიშნა, რომ რამდენჯერმე მიმართეს მუნიციპალიტეტის მერიას ინფორმაციის მოწოდების თაობაზე, მაგრამ ამაოდ. მისი თქმით, არ აქვს მნიშვნელობა, პოზიციის მიმართ იქნება ეს თუ ოპოზიციის მიმართ, ადგილი არ უნდა ქონდეს ასეთ მიდგომას. მერიის რომელიმე სამსახურიდან პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით დროულად პასუხი გაცემა.

საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ თავმჯდომარის, **ლელა ჩახვაძის** თქმით, ყველასთვის ცნობილია ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრი“-ს ირგვლივ განვითარებული მოვლენების შესახებ. ამასთან დაკავშირებით მხოლოდ მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსმა ორგანიზებულად და დროულად მიაწოდა ფრაქციას შესაბამისი დასკვნა. საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ თავმჯდომარის განცხადებით, ნუთუ მუნიციპალიტეტის მერს არ უნდა მოეწერა იმის შესახებ, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე რა ღონისძიებებს მიმართა, მით უმეტეს, რომ სპორტულ ცენტრში, როგორც მისთვის გახდა ცნობილი, მდგომარეობა არ გამოსწორებულა და იგივე ვითარებაა. მან კიდევ ერთხელ მოუწოდა მუნიციპალიტეტის მერიას, რომ ოპერატიულად მიაწოდოს ინფორმაცია იმის შესახებ, მოაგვარა თუ არა პრობლემა და რა ღონისძიებები გატარდა ამ კუთხით, რათა საბოლოოდ დარეგულირდეს აღნიშნულ ა(ა)იპ-ში არსებული სიტუაცია. გასული წლის მარტის თვიდან საკრებულოს ფრაქციას „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ ინფორმაციის მოწოდების მოთხოვნით აღმასრულებელ ორგანოში ხუთი წერილი აქვს გაგზავნილი. ისინი შეეხებოდა საფეხბურთო ბაზის პროექტთან დაკავშირებით ექსპერტიზის დასკვნას, შპს „რეალ-ექსპრესთან“ და რეგიონალური განვითარების ფონდთან დადებულ ხელშეკრულებებს, ასევე ინფორმაციას შუხუთის ბაღთან დაკავშირებით და ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესრულების შესახებ, მაგრამ არც ერთ მათგანზე პასუხი არ მიუღიათ.

საკრებულოს წევრის, **კარლო კვიციანიშვილის** თქმით, რამდენიმე დღის წინ ქალაქში შეესწრო ასეთ ფაქტს. ტრაქტორით მიტანილი ქონდათ ასფალტი, რომელსაც მუშები ნიჩბებით ყრიდნენ გზაზე და ნიჩბებითვე ასწორებდნენ. მისთვის აქამდე უცნობი იყო და სრულიად წარმოუდგენელი, რომ ასეთი ხერხით ხდებოდა ასფალტის საფარის დაგება.

საკრებულოს თავმჯდომარე, **ბესიკ ტაბიძე** დაეთანხმა საკრებულოს წევრს და აღნიშნა, რომ პირადად შეესწრო ანალოგიურ სიტუაციას სოფელ წყალწმინდაში, რაც მისთვისაც მოულოდნელი იყო.

მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის, **ლევან ჩხაიძის** განმარტებით, ეს არის ცივი ასფალტი, რომელსაც არ ესაჭიროება შესაბამისი ტექნიკით დატკეპვნა და არ ითხოვს დამუშავებას. მისი დაგება არის დროებითი ღონისძიება და გამოიყენება ორმოების ამოსავსებად. ზამთრის გასვლის შემდეგ კი მოხდება სათანადო სამუშაოების ჩატარება და დაიგება ჩვეულებრივი, ცხელი ასფალტის საფარი.

საკრებულოს წევრმა, **ელისო ჭიჭინაძემ** აღნიშნა, რომ ლესის ადმინისტრაციულ ერთეულის მკვიდრი 21 წლის კახა ჯორბენაძე ავტო ავარიის შედეგად ერთი წელია, რაც ლოგინსაა მიჯაჭვული. საკრებულოს წევრმა თხოვნით მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს და ამის შესახებ მუნიციპალიტეტის მერსაც მიაწვდის ინფორმაციას, რომ ამ ახალგაზრდა კაცის დასახმარებლად მუნიციპალიტეტში გაიმართოს საქველმოქმედო კონცერტი. მით უმეტეს, რომ ასეთი ღონისძიებების პრეცედენტი ადრეც ყოფილა და მათ საკმაოდ კარგი შედეგი მოყვა. საკრებულოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ საკრებულოს კომისიებზე იყო განხილვა და მსჯელობა „ლანჩუთობის“ დღესასწაულის გამართვასთან დაკავშირებით. ამ საკითხს ყველა უჭერს ხარს, მაგრამ სანამ ეს ღონისძიება ჩატარდებოდა, მანამ აუცილებელია მუნიციპალიტეტში სველი წერტილების მოგვარება, რადგანაც ამის გამო ძალიან დიდი პრობლემები შეიქმნება.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** მიმართა მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელს, გიორგი ფაცურას, რომ მართლაც კარგი საქმეა რაიმე ქველმოქმედებით დაეხმარონ ახალგაზრდა ადამიანს, მით უმეტეს, რომ ასეთი სახის ღონისძიება მუნიციპალიტეტში რამდენჯერმე უკვე ჩატარდა. ნამდვილად არ არის რთული კულტურის სახლთან ერთად შემუშავდეს და ორგანიზება გაუკეთდეს ამ საკითხს. საკრებულოს თავმჯდომარე თავის მხრივ ჩაერთვება და ასევე მოუწოდა საკრებულოს წევრსაც, რათა ერთობლივად მოგვარდეს და გაკეთდეს მართლაც რომ კეთილი საქმე.

საკრებულოს წევრი, **ამირან გიგინეიშვილი** დაინტერესდა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამები“-ს შესახებ გამართულ შეხვედრებზე რატომ უყრიან თავს მთელი ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობას, რადგან სოფელი, დაბა და ქალაქი განსხვავებულია. სამი სოფლის მოსახლეობას რომ ერთ შეხვედრაზე იბარებენ, ნუთუ მათ ერთი და იგივე პრობლემები აწუხებთ?

მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა, **გიორგი ფაცურამ** განმარტა, რომ თითოეულ სოფელს აქვს გამოყოფილი თავისი თანხა, მაგრამ კენჭისყრა და საკითხის განხილვა მიმდინარეობს თითოეული სოფლისთვის ცალ-ცალკე.

საკრებულოს წევრმა, **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ გრიგოლეთი არის საკურორტო ზონა, რომლის სანაპირო ზოლზე გაისინჯა ქვიშის მაგნიტური შემცველობა და იგი

დადგენილზე საკმაოდ მაღალია. აქ ზაფხულობით ჩამოდის და ისვენებს მოსახლეობის შეძლებული ფენა. ამიტომ სერვისის ფასი გრიგოლეთში ზღვის სეზონის დროს უნდა იყოს იმაზე მაღალი, ვიდრე მუნიციპალიტეტის სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლება, მერიის ზედამხედველობის სამსახური ზოგადად უნდა ფიქრობდეს ამ საკითხის შესახებ, რათა ზაფხულის განმავლობაში გრიგოლეთში დაწესდეს ტურისტული ტარიფები, რის შედეგადაც გაიზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავალი. დამსვენებელმა უნდა იგძნოს, რომ ჩამოდის არა სოფელ გრიგოლეთში, არამედ, კურორტზე.

საკრებულოს წევრმა, **ამირან გიგინეიშვილმა** აღნიშნა, რომ ურეკში ქვიშის ანომალური მაგნიტურობა 1982 წელს გაიზომა, ხოლო გრიგოლეთში მდებარეობდა სამხედრო ბაზა და ამის უფლება არ მიეცათ. თუკი ქვიშაში მაგნიტური შემცველობა არის 120 ნანოტესლაზე მეტი, ის არის სამკურნალო და უკუჩვენება თითქმის არ აქვს. გრიგოლეთის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი არის 420. გაზომვები ჩაატარა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის დუშეთის მაგნიტურმა ობსერვატორიამ. საკრებულოს წევრს თებერვლის თვეში ექნება შესაძლებლობა შავი ზღვის კომისიას, რომელიც არის სტრასბურგში, მიაწოდოს ინფორმაცია გრიგოლეთის ქვიშის მაგნიტური ანომალიის შესახებ. საკრებულოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ გრიგოლეთის სანაპირო ზოლზე ნაპირსამაგრი სამუშაოების დროს, სადაც კი დაყარეს ხრეში, იქ ქვიშის მაგნიტური შემადგენლობა შეიცვალა და ასე თუ გაგრძელდა, საბოლოო ჯამში შეიძლება სავალალო შედეგი მოყვეს.

მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა, **გიორგი ფაცურამ** აღნიშნა, რომ ქვიშის კვლევების ჩატარების შესახებ ცნობილია და ელოდებიან დასკვნას.

საკრებულოს წევრმა, **კარლო კვიციანიშვილმა** უკმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ არ შეიძლება ქალაქში არ იყოს მოსაცდელი და საპირფარეო. მისი აზრით, ეს საკითხები აუცილებლად მოითხოვს დროულ რეაგირებს.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარემ, **ბესიკ კუპრაძემ** გამოემართა საკრებულოს წევრის, ამირან გიგინეიშვილის განცხადებას. მისთვის უცნობია, ვინ და როდის, მაგრამ გრიგოლეთში ნაპირის გამაგრების მიზნით დაყარეს ქვა და ქვიშა, რამაც მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია, რადგან ეს ცუდად მოქმედებს დამსვენებელზე. ხრეშის დაყრამ დააზიანა ინფრასტრუქტურა და პლაჟი არაკომფორტული გახდა. საკრებულოს წევრი მაშინ სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში მუშაობდა და თავის დროზე დავაც ქონდა ამასთან დაკავშირებით, რადგან ეს არის გაუაზრებელი და ცუდი ტენდეცია. თუკი ასეთი ფორმით კიდევ გაგრძელდება ნაპირსამაგრი სამუშაოები, ეს გამოიწვევს მოსახლეობის აშკარა უკმაყოფილებას და აბსოლიტურ ქაოსს. საკრებულოს წევრი ასევე შეეხო ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩაბარების საკითხს, კერძოდ შპს „რეალ-ექსპრესი“-ს წარმომადგენლები მოიწვიეს საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომაზე, მაგრამ ამაოდ. ისეთი ტენდეციაა, რომ მერიის წარმომადგენლები და შპს „რეალ-ექსპრესი“ ერთმანეთისკენ იშვებენ ხელს. საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარემ, **ბესიკ კუპრაძემ** მიმართა მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელს, რომ მოხდეს შპს-ს წარმომადგენლებთან შეხვედრა, რადგან მათ ალბათ არ ადევლებთ საბოლოო შედეგი. კეთილ ინებონ და ამ ადამიანებმა გასცენ პასუხი, რატომ იბარებენ ობიექტებს და ღირს თუ არა მათი ჩაბარება.


საკრებულოს თავმჯდომარის, **ბესიკ ტაბიძის** თქმით, თავის დროზე შეთანხმდნენ, რომ საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომას დაესწრებოდნენ როგორც მუნიციპალიტეტის მერი, მერის მოადგილე და ასევე შპს „რეალ-ექსპრესი“-ს წარმომადგენლები, რადგან ძალიან ბევრ კითხვაზეა პასუხი გასაცემი.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი გვარჯალაძემ** აღნიშნა, რომ შპს „რეალ-ექსპრესი“-ს წარმომადგენლების თქმით, ისინი ანგარიშვალდებულები არიან არა საკრებულოს კომისიის, არამედ მუნიციპალიტეტის მერის წინაშე.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანიამ** აღნიშნა, რომ უახლოეს პერიოდში აუცილებლად შესაძენია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში სხდომათა დარბაზისთვის საჭირო გასახმოვანებელი მოწყობილობა.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე



საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო